

მოწყობილობის დანიშნულება

მოცემული მოწყობილობა განკუთვნილია სხეულის მასის განსასაზღვრად.

უსაფრთხოების ზომები

- გამოიყენეთ სასწორი მხოლოდ მყარ და სწორ ზედაპირზე.
- დაიცავით მოწყობილობა წყლის ზემოქმედებისგან, ტემპერატურის ცვალებადობისა და მზის პირდაპირი სხივებისგან.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა მაღალი ტენიანობის მქონე შენობებში.
- არ გამოიყენოთ სასწორი სრიალა იატაკზე.
- არ გადატვირთოთ სასწორი — დასაშვები წონა არ უნდა აღემატებოდეს მითითებული მაქსიმალური დატვირთვის 150%-ს.
- გადაანაწილეთ წონა თანაბრად, არ დაეყრდნოთ მხოლოდ ერთ ფეხს.
- არავითარ შემთხვევაში არ იხტუნოთ სასწორზე დგომისას.
- აწონვის შედეგები განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და არ უნდა იქნას გამოყენებული თქვენი დიეტის ან ფიტნეს-ვარჯიშების გეგმის საფუძვლად.
- არ გამოიყენოთ სასწორი ინტენსიური ვარჯიშის შემდეგ.
- თუ სასწორს დიდი ხნის განმავლობაში არ იყენებთ, რეკომენდებულია მისი რეგულარულად დამუხტვა აკუმულატორის დაზიანების თავიდან ასაცილებლად.
- არ დაშალოთ მოწყობილობა დამოუკიდებლად.
- არ გამოიყენოთ მოცემული მოწყობილობა წყლის წყაროების უშუალო სიახლოვეს. არასოდეს მოათავსოთ მოწყობილობა წყლის ჭავლის ქვეშ და არ ჩადოთ იგი წყალში.
- დაიცავით მოწყობილობა დარტყმის, დავარდნის, ვიბრაციისა და სხვა მექანიკური ზემოქმედებისგან.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა სააბაზანო ოთახში, ნიჟარასთან და წყლით სავსე ნებისმიერ სხვა ჭურჭელთან ახლოს.
- მოწყობილობის გასაწმენდად არ გამოიყენოთ ცხელი წყალი ან ეთერზეთები.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი კომერციული მიზნებისთვის გამოსაყენებლად.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისათვის, აგრეთვე შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირთათვის გამოსაყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე ხორციელდება კონტროლი მათ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ. არ მისცეთ ბავშვებს მოწყობილობით თამაშის უფლება.